



საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



N 7

30/01/2019

7-07-4-201901301706



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №7

2019 წლის 30 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემასა და ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (ქ. ლანჩხუთში, ქორდანიას ქუჩაზე განლაგებული 28 (ოცდარვა) ცალი გარე განათების ბოძზე არსებული წერტილოვანი მდებარეობა) სს „სილქეტი“-ს (ს/ნ 204566978) გადასცეს ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ხოლო აღნიშნული უძრავი ქონების ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 56 ლარის ოდენობით. (თითოეულ გარე განათების ბოძზე წერტილოვანი მდებარეობით სარგებლობისათვის წლიური 2,0 ლარის ოდენობით).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო